

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

მესამე საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

გიგა კვერენჩილაძე – კოლეგიის წევრი

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 28.01.2011 წელი

საჩივრის რეგისტრაციის №008/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 18.03.2011

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. გ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. გ. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2011 წლის 28 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მოქალაქე ე. კ. ადვოკატ დ. გ. წინააღმდეგ.

- 1.2 საჩივრის თანახმად ე. კ. უთითებს, რომ დ. გ. იცავდა მისი მეზობლის მოწინააღმდეგე მხარის/მოპასუხის/ თ. ე. უფლებებს პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოში 2006 წლიდან. დავის საგანი ეხებოდა ქ-ნი ე. კ. საცხოვრებელ სახლზე მეზობელ თ. ე. მხრიდან უკანონოდ ნაწარმოებ დაშენების/მშენებლობის ფაქტს/, რის შედეგადაც ქ-ნი ე. კ. მიადგა დიდი ზიანი. დაუზიანდა საცხ.სახლი.
- 1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატმა დ. გ. ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ გააყალბა აზომვითი ნახაზი და საკადასტრო რუკა, რაც გამოიყენა სასამართლო სხდომაზე.
- 1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარის თ. ე. ადვოკატი დ. გ. ცდილობდა ყოველთვის მოესყიდა ქ-ნი ე. კ. ადვოკატები. ადვოკატ დ. გ. საჩივრი ავტორი ადანაშაულებს თაღლითობაში.
- 1.5 საჩივრის თანახმად, ე. კ. მოთხოვნას წარმოადგენს ადვოკატ დ. გ. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება, საქმის საპროცესო კოლეგიაზე განხილვის დროს 2011 წლის 24 თებერვალს ქ-ნმა ე. კ. გაიმეორა საჩივარში მითითებული გარემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია

- 2.1 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის სხდომაზე 2011 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა ადვოკატი დ. გ. და წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება.
- 2.2 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად იგი არ ეთანხმება საჩივრის ავტორს მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით დაუსაბუთებლობის გამო და აღნიშნავს, რომ იგი იცავდა თავისი კლიენტის თ. ე. ინტერესებს კანონის ფარგლებში, მიაჩნია, რომ ე. კ. რევიზიას უკეთებს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ბრალს დებს ადვოკატს მასში, რომ იგი მისული იყო კლიენტის სახლში დავის საგნის დასათვალიერებლად, რაც თავის მხრივ მისი და მისი კლიენტის ინტერესებში შედიოდა.
- 2.3 ადვოკატმა კომისიას განუმარტა, რომ იგი ვაღდეგული იყო და არის იმოქმედოს თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რათა არ შეეღახა მისი ინტერესები, მოწინააღმდეგე მხარის ე. კ. პრეტენზიები კი მიაჩნია დაუსაბუთებლად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

- 3.1 ადვოკატი დ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.
- 3.2 ე. კ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 28 იანვარს.
- 3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2006 წლიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ დ. გ. მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 30-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

- 5.1 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სიყალბე ჩაიდინა, ცდილობდა მოესყიდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატები.
- 5.2 განსახილველ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატი დ. გ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილის ფარგლებში მოქმედებდა თავისი კლიენტის თ. ე. მიმართ. საპროცესო კოლეგია ვერ იმსჯელებს ადვოკატ დ. გ. მიმართ დანაშაულებრივ ქმედებების ჩადენის ფაქტებზე, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, ვინაიდან აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება/გამატყუნებელი განაჩენი / სახეზე არ გვაქვს და ვერც საჩივრის ავტირმა დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.
- 5.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთისლინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.
- 5.4 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე

იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატი მიუთითებს, რომ მოქმედებდა ამ ფარგლებში თავისი კლიენტის მიმართ.

- 5.5 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ დ. გ. ქმედებაში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევები. საპროცესო კოლეგიას მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. გ. მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და 33-ე მუხლით; ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 27-ე მუხლის, 28-ე მუხლის, 30-ე მუხლის მეორე ნაწილის და 31-ე მუხლის საფუძველზე

გ ა დ ა ო რ ე რ ა :

1. ე. კ. 2011 წლის 28 იანვრის საჩივარი №008/11 არ დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ დ. გ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი: გიგა კვერენხილაძე

კოლეგიის წევრი: არჩილ კბილაშვილი